

პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა

წინამდებარე დოკუმენტი განმარტავს სს „სადაზღვევო კომპანია ჯი ჰი აი ჰოლდინგი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674, იურიდიული მისამართი: კოსტავას ქ. №67, ქ. თბილისი 0171, საქართველო) მიერ მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პრინციპებს, მიზანსა და წესებს.

„ჯიჰიას“ ვებსაიტზე/აპლიკაციაში წესებისა და პირობების თანხმობის ელექტრონულად მონიშვნით/აღიარებით და/ან „ჯიჰიას“ კონტაქტ ცენტრისთვის SMS შეტყობინებით მიღებული კოდის გაცხადებით, მომხმარებელი ადასტურებს, რომ ამავდროულად ეთანხმება წინამდებარე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკას, მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს ზუსტ და უტყუარ მონაცემებს. ინფორმაციის მოწოდება მოხდა მომხმარებლის საკუთარი სურვილით და ამისათვის მას გააჩნია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და ნებართვა.

ვებსაიტის/აპლიკაციის წესებსა და პირობებზე თანხმობის ელექტრონულად მონიშვნით/აღიარებით და/ან „ჯიჰიას“ კონტაქტ ცენტრისთვის SMS შეტყობინებით მიღებული კოდის გაცხადებით მომხმარებელი თანხმობას აცხადებს, რომ უფლებამოსილებას ანიჭებს „ჯიჰიას“ და თანხმობას აცხადებს მასზე, რომ „ჯიჰიას“ მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით, ნებისმიერი წყაროდან გამოთხოვნილ და მიღებულ იქნას ინფორმაცია მის შესახებ, მათ შორის პერსონალური მონაცემები, მათი იდენტიფიკაციის, გადამოწმების, შედარების, ანალიზის, შენახვის და საკანონმდებლო ან/და სახელშეკრულებო ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნებისთვის.

ტერმინები

აპლიკაცია - მობილური აპლიკაცია/პროგრამა “MyGPI”, რომელიც შემუშავებულია სპეციალურად მცირე, უკაბელო გამოთვლით მოწყობილობებზე, როგორცაა სმარტფონები და ტაბლეტები.

ვებსაიტი - ვებგვერდების ერთობლიობა, დომენით <http://www.mygpi.ge/> <http://www.gpih.ge>

ჯიჰიასი/კომპანია/მონაცემთა დამმუშავებელი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ჯი ჰი აი ჰოლდინგი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674, იურიდიული მისამართი: კოსტავას ქ. №67, ქ. თბილისი 0171, საქართველო), რომელიც განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

მომხმარებელი – აღნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც შედის ვებსაიტზე/აპლიკაციაში და იყენებს მას ინფორმაციის ან მომსახურების მიღების მიზნით;

მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

პერსონალური მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

1. პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა და მიზანი

1.1 კომპანია ყურადღებას ამახვილებს პერსონალური მონაცემების დაცვასა და ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როგორც მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების, ისე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

1.2 მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს სანდო და კეთილსინდისიერი ბიზნეს ურთიერთობების, მიმზიდველი პარტნიორის რეპუტაციის მნიშვნელოვან საფუძველს.

1.3 მონაცემთა დამუშავების საფუძველია მომხმარებლის მოთხოვნა კომპანიის მხრიდან კონკრეტული მომსახურების გაწევის შესახებ. მომხმარებლის მონაცემების დამუშავება აუცილებელია კომპანიის მიერ მისი განცხადების განსახილველად.

2. მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მოქმედების სფერო

2.1 წინამდებარე პოლიტიკა სრულად ვრცელდება „ჯიპიას“ მიერ პერსონალური მონაცემების ავტომატური, ნახევრად ავტომატური, ან არაავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე და გამოიყენება პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესში.

2.2 აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება „ჯიპიას“ მომხმარებლებზე, კომპანიის თანამშრომლებზე, კონტრაქტორებზე, ყველა იმ პირზე, რომელთა მონაცემებიც მუშავდება კომპანიის მიერ, ასევე, მონაცემთა მიმღებზე და იმ უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც კომპანიის სახელით ან მისთვის ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს.

3. პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები და პრინციპები

3.1 „ჯიპიას“ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

3.1.1. არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;

3.1.2. მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

3.1.3. მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია;

- 3.1.4. მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა თავად მონაცემთა სუბიექტმა;
- 3.1.5. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე მისთვის მომსახურების გაწევის მიზნით;
- 3.2 მონაცემთა დამუშავება ხდება კონკრეტული პრინციპების შესაბამისად:
- 3.2.1 სამართლიანობა და კანონიერება - პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, პიროვნების ღირსების შეუღალავად;
- 3.2.2 მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის არსებობა - აუცილებელია, არსებობდეს კონკრეტული მიზანი, რისთვისაც ხდება მონაცემთა დამუშავება. სხვა მიზნებით მონაცემების გამოყენება დაუშვებელია.
- 3.2.3 პროპორციულობა და ადეკვატურობა - მონაცემები უნდა დამუშავდეს იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად; თავად მონაცემებიც, ამ მიზნის შესაბამისი უნდა იყოს.
- 3.2.4 ნამდვილობა და სიზუსტე - მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს, ასევე, უნდა გადამოწმდეს ინფორმაციის წყაროს სანდოობა, გასწორდეს მცდარი და არაზუსტი მონაცემები;
- 3.2.5 პერსონალური მონაცემების შენახვის ვადა - პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს კანონით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. მიზნის მიღწევის შემდეგ, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- 3.3 დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

4. პერსონალურ მონაცემთა კატეგორია და მისი დამუშავება

- 4.1 „ჯიპიაი“ ახდენს ძირითადად რამდენიმე კატეგორიის პერსონალური მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას. კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი, საბანკო ანგარიშის მონაცემები, საბანკო ბარათის მონაცემები, ასევე მომხმარებლის კანონიერ მფლობელობაში არსებული მოძრავი ქონების - ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი, ტიპი, გამოშვების წელი, ვინ კოდი, სახელმწიფო ნომერი, საჭე, გარბენი, ძრავის მოცულობა, საწვავის ტიპი, ტექნიკური პასპორტი, IP მისამართი, რომლის გამოყენებითაც ხორციელდება „ჯიპიაის“ კუთვნილ ვებსაიტზე/აპლიკაციაში შესვლა.
- 4.2 პერსონალური მონაცემების დამუშავება გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით პირის პერსონალური მონაცემების შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას.
- 4.3 პერსონალური მონაცემები ძირითადად მუშავდება „ჯიპიაის“ მიერ მომხმარებლისთვის დაზღვევისთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევის დროს, მომხმარებლის განაცხადის განხილვის დროს, სხვადასხვა სახის/შინაარსის სახელშეკრულებო ურთიერთობების შესრულების, დასაქმების, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით;

4.4 პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით და/ან მონაცემთა დამუშავება საჭიროა „ჯიპიას“ მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

4.5 თანხმობას მონაცემთა სუბიექტი გამოხატავს ზეპირად, წერილობით, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული წესით, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება და გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

4.6 კომპანიამ შეიძლება დაამუშაოს მონაცემები მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა მონაცემთა დამუშავების დახმარებით და მასთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „ჯიპიას“ მკაცრად დადგენილ სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. პირდაპირი მარკეტინგი

5.1 მონაცემთა სუბიექტი ანიჭებს „ჯიპიას“ უფლებამოსილებას სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, მონაცემთა სუბიექტის სატელეფონო ზარის, ელექტრონული ფოსტის, სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებებით ან მომხმარებელთა უშუალო კომუნიკაციით განხორციელოს მომსახურების, საქონლის, დასაქმების შეთავაზება ან რაიმე სახის ქმედების განხორციელების თხოვნა.

5.2 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა.

5.3. „ჯიპიაი“ ვალდებულია შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება და/ან უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5.4. მომხმარებელი „ჯიპიას“ ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ მისი პერსონალური მონაცემები გადასცეს მესამე პირებს სხვადასხვა მომსახურების ან საქონლის პირდაპირი მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, რომელიც მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს სატელეფონო ზარის, SMS შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის, სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებებით ან მომხმარებელთან უშუალო კომუნიკაციის გზით.

5.5. მესამე პირებისთვის პირდაპირ მარკეტინგის მიზნებისთვის მომხმარებლის პერსონალური მონაცემების გადაცემის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებელი არის მესამე პირი და მის მიმართ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელია მესამე პირი.

6. ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა

6.1 უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, „კომპანიაში“ მიმდინარეობს შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელების მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემების მეშვეობით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს „ჯიპიას“ კონტაქტ ცენტრში კომუნიკაციისას.

6.2 მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით „ჯიპიას“ მიერ მომსახურების გაწევის ადგილებში ვიდეოთვალთვალის და/ან აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ, ასევე, „ჯიპიასთან“ კონტაქტს ცენტრში კომუნიკაციისას სატელეფონო ზარების ჩაწერის შესახებ მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებული იქნება კანონის მოთხოვნების შესაბამისი ფორმით.

7. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

7.1 „ჯიპიამ“ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებს გადასცეს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით „ჯიპიასთვის“ დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე სხვა კომპანიებთან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე „ჯიპიას“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.

7.2 მესამე პირს წარმოადგენს „ჯიპიას“ პარტნიორი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები, სახელმწიფო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები, რომელთან ურთიერთობის და ინფორმაციის გაზიარების აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით და/ან სახელშეკრულებლო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებებიდან.

7.3. „ჯიპიას“ მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის უფლებამოსილება კომპანიას გააჩნია კანონმდებლობით ან მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

7.4. „ჯიპიას“ მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისგან მოპოვება

8.1. „ჯიპიამ“ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებისგან მოიპოვოს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით კომპანიაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე სხვა კომპანიებთან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.

8.2. მესამე პირს წარმოადგენს „ჯიპიას“ პარტნიორი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები, სახელმწიფო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები,

8.3. „ჯიპიას“ მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისგან მოპოვების უფლებამოსილება კომპანიას გააჩნია კანონმდებლობით ან მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

8.4. „ჯიპიას“ მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისგან მოპოვება ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

9. მონაცემთა დამუშავება უფლებამოსილი პირის მეშვეობით

9.1 წინამდებარე პოლიტიკის პირობებიდან გამომდინარე, „ჯიპიაი“ გარკვეული მონაცემების დამუშავებისას შესაძლოა წარმოადგენდეს მონაცემთა დამმუშავებელს და მისი სახელით, ან მისთვის მონაცემების დამუშავება ხდებოდეს უფლებამოსილი პირის მიერ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას გაფორმებული აქვს უფლებამოსილი პირთან შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებამდე „ჯიპიაი“ ყოველთვის წინასწარ რწმუნდება მხარის სანდოობაში და ხელშეკრულებით ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის ვალდებულებას, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვას.

10. მონაცემთა უსაფრთხოება

10.1 კომპანიაში მიღებულია ისეთი გონივრული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

10.2 კომპანიაში მკაცრად არის დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, ვისაც მონაცემების დამუშავება სჭირდებათ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

11. მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები

11.1 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოსთხოვოს „ჯიპიას“ ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ასეთ დროს კომპანია მოთხოვნის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

- რომელი კატეგორიის მონაცემები მუშავდება მის შესახებ;
- რა მიზნით მუშავდება მონაცემები;
- რა სამართლებრივი საფუძვლით მუშავდება მონაცემები;
- რა გზით შეგროვდა პერსონალური მონაცემები;
- გაცემულა თუ არა მისი მონაცემები მესამე პირზე, ვისზე გაიცა - მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

11.2 მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს „ჯიპიას“ და იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ, მოსთხოვოს მისი პერსონალური მონაცემების გასწორება, დაბლოკვა, განახლება, დამატება, წაშლა, ან განადგურება. ასეთ დროს კომპანია შესაბამის რეაგირებას ახდენს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

11.3 მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოიხმოს (მოითხოვოს მონაცემების დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურება) მის მიერ „ჯიპიასთვის“ გაცხადებული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის მიერ გამოხატული თანხმობის საფუძველზე, კომპანია უზრუნველყოფს შესაბამისი ქმედების განხორციელებას ასეთი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

12. საკონტაქტო ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“ მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@gpih.ge, ან/და „ჯიპიას“ ცხელი ხაზის ნომერზე: (+995 32) 2 505 111.